მაგთიკომი
MAGTICOM

შპს "მაგთიკომი"
№ 20/12/17-17
01 2020

შპს „ჯიდი +“-ს დირექტორს

ბატონ შოთა ქუთათელაძეს

ბატონო შოთა

თქვენი 2019 წლის 20 დეკემბრის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ შპს „მაგთიკომი“ ითანხმებს თქვენს მიერ წარმოდგენილ პროექტს, (შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, IV მკ/რ, კორპუსი N2-ის მიმდებარედ) ასევე გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მისამართზე გადის შპს „მაგთიკომი“-ს კუთვნილი კომუნიკაცია.

სამუშაოების წარმოების დროს, საკომუნიკაციო არხის ტრაექტორიის ცვლილების აუცილებლობის შემთხვევაში, არხის გადატანა თქვენივე ხარჯებით უნდა მოხდეს შპს „მაგთიკომი“-ს მიერ მომზადებული პროექტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

- აღნიშნული სამუშაოების დაწყების დრო 2 დღით ადრე ეცნობოს შპს „მაგთიკომ“-ს. (საკ. ნომერი 110011)
- თუ თქვენს მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად რაიმე გზით მოხდა შპს „მაგთიკომი“-ს საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ხელყოფა ან დაზიანება, აღნიშნულზე პასუხისმგებლობა და მისი აღდგენისათვის გაწეული ხარჯები სრულად დაგეკისრებათ თქვენ.

პატივისცემით.

გენერალური დირექტორის მოადგილე _____ /ზურაბ ზარიძე/

www.magticom.ge
საქართველო, თბილისი 0186, პოლიტკოვსკაიას ქ. N7 7 Politkovskaya St., Tbilisi 0186, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 217 17 17; (+995 32) 217 17 77; ფაქსი/Fax: (+995 32) 217 11 71; ელ.ფოსტა/E-mail: office@magticom.ge

ხარჯთაღრიცხვა

დიდი დიღომი

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები
საერთო ტრასის სიგრძე 115.3 მეტრი

№	სამუშაოს დასახელება	სახ. ერთ	რა-ბა	ერთ. ფასი	ფასი
	ერთმილიანი საკომუნიკაციო არხის მშენებლობა ტროტუარზე	მეტრი	115.3	16.80	1936.54
	დიდი ტიპის ჯოლოფის მშენებლობა	ცალი	2	99.75	199.50
	ნაგვის გატანა (20 კმ-ზე)	$მ^3$	33.1	30.00	994.14
	ჯამი				**3130.18**

№	მ ა ს ა ლ ე ბ ი	სახ. ერთ	რა-ბა	ერთ. ფასი	ფასი
	ცემენტი (25კგ)	ცალი	2	7.00	14.00
	ყვითელი ქვიშა	$მ^3$	0.4	44.00	17.60
	შავი ქვიშა	$მ^3$	23.1	35.00	806.89
	აგური	ცალი	150	0.65	97.50
	ჯამი				**935.99**

	გაუთვალისწინებელი ხარჯი			10%	406.62
	სულ ხარჯთაღრიცხვა				**4472.79**

შპს "მაგთიკომი"
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №7
ტელ. 032 217 00 00 ან 110011

სიტუაციური გეგმა





საპროექტო ინფრასტრუქტურა და სამუშაოს ტიპები:

- ჭა (2ც)
- ბრუნტი

არსებული ინფრასტრუქტურა:

- მაგთის არსებული ჭა
- მაგთის არსებული არხი

მისამართი:	თბილისი, საბურთალოს რაიონი, დიდი დიღმის მ/რ #4, კორპ. #2, ნაკვეთი: 01.10.07.007.141	
პროექტის მენეჯერი	პროექტორების მენეჯერი	
ტერიტორიის საკელე მოკვლევა	პროექტორების ინჟინერი	ზ. არეშაძე
კომპ. უზრ.	პროექტორების კომპ. უზრუნველყოფის ინჟინერი	ბ. თოდაძე

საპროექტო ტრასის სრული სიგრძე 115.3 ბრძ. მ
დაკვეთა: 3820
მასშტაბი 1:1,000
თარიღი: 28.05.2020

Coordinate System:
WGS 1984 UTM Zone 38N

შპს "მაგთიკომი"
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №7
ტელ. 032 217 00 00 ან 110011

ორთო ფოტო

N





საპროექტო ინფრასტრუქტურა და სამშენებლო ტიპები:

- ჭა (2ც)
- ბრუნტი

არსებული ინფრასტრუქტურა:

- მაგთის არსებული ჭა
- მაგთის არსებული არხი

მისამართი:	თბილისი, საბურთალოს რაიონი, დიდი დიღმის მ/რ #4, კორპ. #2, ნაკვეთი: 01.10.07.007.141	
პროექტის მენეჯერი	პროექტირების მენეჯერი	
ტერიტორიის საველე მოკვლევა	პროექტირების ინჟინერი	ზ. არეშაძე
კომპ. უზრ.	პროექტირების კომპ. უზრუნველყოფის ინჟინერი	გ. თოდაძე

საპროექტო ტრასის სრული სიგრძე 115.3 გრძ. მ
დაკვეთა: 3820
მასშტაბი 1:1,000
თარიღი: 28.05.2020

Coordinate System:
WGS 1984 UTM Zone 38N

№ 0620-0392115 D20.03.2020

შპს „ჯიდი+“-ს დირექტორს
ბატონ შოთა ქუთათელაძეს,
დიდი დიღომი მე-4 მ/რ, მე-2 კორპუსის მიმდებარედ
ტელ: 591-80-11-91;

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ განიხილა თქვენი განაცხადი ქსელის გადატანის მოთხოვნის შესახებ (დიდი დიღომი მე-4 მ/რ, მე-2 კორპუსის მიმდებარედ; ს/კ: 01.10.07.007.141;) დათარიღებული 18.03.20 წ. დარეგისტრირებული №IN20-0391651, 18.03.20 წ.

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაედინება კომპანიის ბალანსზე რიცხული D=250მმ-იანი წყალარინების ქსელი რომლის მიმართაც მშენებლობის დროს შესაძლებელია დარღვეულ იქნას წყალარინების ქსელებთან მიმართებაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის. წყალარინების ქსელი საჭიროებს გადატანას სამშენებლო ნორმების დაცვით, რაზეედაც ახალმა მომხმარებელმა აუცილებელია მომართოთ კომპანიას სათანადო ტექნიკური პირობის გაცემის, პროექტირების და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებაზე.

(ა) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N297/ნ ბრძანებით დამტკიცებული „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების“ დანართი 5-ის („წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარული დაცვის ზონები. სანიტარული წესები და ნორმები. სანწდან 2.1.4. 000 – 00“), სამშენებლო ნორმების და წესების (სანდაწ 2.04.02-84) და აგრეთვე, კომპანიის ტექნიკური საბჭოს 2017 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების (ოქმი N8) და 2017 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილების (ოქმი N12) თანახმად, წყალსადენ-კანალიზაციის მილებთან მიმართებაში დადგენილია სანიტარული უსაფრთხოების ზოლი, რომლის არეალი აითვლება წყალსადენ-კანალიზაციის ქსელებიდან ორივე მხარეს: თუ მშრალი გრუნტია - არანაკლებ 10 მ-ისა, როცა წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების დიამეტრი 1000 მმ-მდეა და არანაკლებ 20 მ-ისა, როცა წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების დიამეტრი 1000 მმ-ზე მეტია, ხოლო გრუნტის წყლების არსებობისას, არანაკლებ 50 მ-ისა, მილის დიამეტრის მიუხედავად. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, სანიტარული დაცვის ზოლებში იკრძალება ნაგავსაყრელების, საასენიზაციო მინდვრების, სასაფლაოების, ცხოველთა სამარხების, ავტოგასამართი (ბენზინგასამართი) სადგურების მოწყობა და ფუნქციონირება. სანიტარული დაცვის ზოლებში, აგრეთვე, იკრძალება ნებისმიერი იმ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოწყობა და ფუნქციონირება, რომელმაც შესაძლებელია გააუარესოს ნიადაგისა და გრუნტის წყლების სანიტარული მდგომარეობა.

(ბ) საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით (სნდაწ II-89-80; სნდაწ 2.07.01-89) დადგენილი რეგულაციით, მანძილი (დაშორება) ჰორიზონტალურად ქსელებიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობებამდე უნდა იყოს: წყალსადენის და წნევიანი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 5 მეტრი, ხოლო თვითდენითი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი. შესაბამისად, მოცემულ არეალებში (3 ან/და 5 მეტრ მანძილზე) ნებისმიერი მშენებლობა დაუშვებელია.

თუ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ არ იქნება დაცული ზემოაღნიშნული სანიტარული/სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები, ისინი სრულად აგებენ პასუხს ამგვარი მოთხოვნების დარღვევის შედეგად დამდგარ ზიანზე, ხოლო მიწისქვეშა ქსელებზე მომხდარი ავარიის/დაზიანების შემთხვევაში, მათთვის მიყენებულ ზარალზე (ზიანზე) კომპანია იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ ზემოაღნიშნული სანიტარული/სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, კომპანია იტოვებს უფლებას, მიმართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს მშენებლობის აკრძალვის/შეჩერების მოთხოვნით.

ამასთანავე, კომპანია გაცნობებთ, რომ თქვენ განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთზე ან მიმდებარედ შესაძლებელია გადიოდეს, სხვა, მესამე პირთა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული წყალსადენ-კანალიზაციის ქსელები, რომელთა შესახებ კომპანია ინფორმაციას არ ფლობს.

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი

კომერციული დირექტორი

შემსრ: ა. სამადაშვილი
293 11 11 (1433)

ახალი მიერთებების სამსახურის უფროსის
მოადგილეს ბატონ გიორგი კიზივაძეს

ვაკე-საბურთალოს რაიონის
ბიზნეს ცენტრის მენეჯერის
კახა წამალაიძის

სამსახურეობრივი ბარათი

განცხადების IN20-0391651 პასუხად გაცნობებთ, რომ ს/კ-ზე 01.10.07.007.141 არსებული წყალარინების ქსელის გადატანა შესაძლებელია სქემატური ნახაზის მიხედვით.

წყალსადენ-წყალარინების ქსელების მიმართ დაცული უნდა იყოს სამშენებლო-სანიტარული ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

იხ. სქემატური ნახაზი

პატივისცემით

ვაკე-საბურთალოს რაიონის
ბიზნესცენტრის მენეჯერი კახა წამალაიძე

წყალსადენის და წყალარინების სისტემების
სამსახურის უფროსი ინჟინერი დავით მაისაშვილი

შემსრულებელი: მამუკა სიბაშვილი
ტელ: 595 09 41 18
თარიღი: 19.03.2020

01.10.07.007.141

ძებნის შედეგი

01.10.07.007.141



maps.reestri.gov.ge/#zoom=18&lat=41.79353&lon=44.74607&layers=B0000000FTTFFFFFFFFFFFFFFT0000F

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990100492872420

№17/1910

19 / ივნისი / 2020 წ.

შპს „ჯიდი+“-ის დირექტორს
შოთა ქაუთათელაძეს

ბატონო შოთა,

თქვენი ა/წ 8 ივნისის წერილის #1901 პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სოფელ დიღმის ტერიტორიაზე (38640 კვ. მ., ს/კ 01.10.07.007.141, ნაკვეთი 07/021) ფართომასშტაბიანი სამუშაოების წარმოებას და საპროექტო ტერიტორიაზე პირველი ეტაპით განსაზღვრული სადაზვერვო არქეოლოგიური ანგარიშის წარმოდგენას, გაცნობებთ, რომ ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის დაახლოებით ცენტრალურ ნაწილში შეინიშნება ბუნებრივი ბორცვი, რომელზეც სავარაუდოდ ყორღანული სამარხებია განლაგებული. ამაზე მიუთითებს, როგორც მისი ტოპოგრაფია, ასევე ქვაყრილის სტრუქტურა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია ტერიტორიაზე ჩატარდეს მეორე ეტაპით განსაზღვრული სამუშაოები, რაც ჭრილების გავლებას და ქვაყრილის პრეპარაციას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიური ძეგლის გამოვლენის შემთხვევაში აუცილებელი იქნება მისი სრულფასოვანი შესწავლა.

აქვე გაცნობებთ, რომ მიწის სამუშაოებზე დადებითი დასკვნა გაიცემა მთლიან მიწის ნაკვეთზე და არა ცალკეულ უბნებზე.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით ლომიტაშვილი

№ 0620-0449448 D 05.10.2020

შპს „ჯიდი+“
მისამართი: მირიან მეფის ქ. N20
ტელეფონი: 591 33 00 44

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრირებული IN20-0447079, დათარიღებული 28/09/2020წ.) მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.07.007.141) მშენებლობის გენ. გეგმის შეთანხმების შესახებ.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი გენ. გეგმა შეთანხმებულია „კომპანიის“ შესაბამის სამსახურთან. „კომპანია“ არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამშენებლო სამუშაოები წარმოდგენილი გენ. გეგმის შესაბამისად.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ ,,კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ ,,კომპანიის“ წარმომადგენელს:

ვაკე-საბურთალოს ბიზნეს ცენტრის მენეჯერი კახა წამალაიძე. ტელ: 595 11 55 99.

შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის გასატანად მობრძანდით მედეა (მზია) ჯუღელის ქ. N10-ში (შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს სათავო ოფისი), სამუშაო დღეებში 09:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე.

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: ჯ. ჩაჩხალია; გ. მურღულია
ტელეფონი: 293 11 11 (11 27); (21 02)

შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"
ვაკე-საბურთალოს ბიზნეს ცენტრი
შეთანხმებულია
ხელმძღვანელი ______
რეგ. № ______ " 30 " ______ 20__ წ.
სამუშაოების დაწყების წინ გამოძახებულ იქნას GWP-ს წარმომადგენელი
ტელ: 032 2 93 11 11



ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები

პირობითი ნიშნები

პროექტის სახელწოდება

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი არქიტექტურული ნაწილი

ქ. თბილისი დასახლება დიდი დიღომი მიკრო რაიონი IV კორპუსი 2, მიმდებარედ
ს/კ. 01.10.07.007.141

შ.პ.ს. "დიგი+" ს/კ 438731990	ქ.თბილისი დიღმის მასივი 5 კვ. კორპ. 13 ბინა 43 ტელ. 591 01 83 73

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თარიღი
დირექტორი	გ.ქუთათელაძე		
პროექტის ავტორები	ვ.ლომიძე		
		გეგმები	
მასშტაბი:	1 : 300		
სტადია		ფურცლები	ფურცელი
პროექტი		0	a-U

მომსახურების ხელშეკრულება

წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულება (შემდგომში „**ხელშეკრულება**“) გაფორმებულია ქ. თბილისში, 2020 წლის 28 სექტემბერს შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, **შპს „ჯიდი +“** საიდენტიფიკაციო კოდი 438731990 (შემდგომში „**დამკვეთი**“), დირექტორის შოთა ქუთათელაძის მიერ;

და

მეორე მხრივ, **შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“**, საიდენტიფიკაციო კოდი 203826002 (შემდგომში „**შემსრულებელი**“), წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის გიორგი სვანიძვილის მიერ;

შემდგომში „დამკვეთი“ და „შემსრულებელი“ ერთობლივად ხსენებული, როგორც „**მხარეები**“, ხოლო ცალ-ცალკე - როგორც „**მხარე**“.

1. „ხელშეკრულების“ საგანი

1.1. წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, „დამკვეთი“ უკვეთავს, ხოლო „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას შეასრულოს წინამდებარე „ხელშეკრულების“ 1.2. პუნქტით გათვალისწინებული „მომსახურება“. „დამკვეთი“ თანახმაა, მიღებული „მომსახურების“ სანაცვლოდ, გადაუხადოს „შემსრულებელს“ შეთანხმებული ანაზღაურება.

1.2. წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე გასაწევი მომსახურება (შემდგომში „**მომსახურება**“) გულისხმობს „შემსრულებლის“ მიერ, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდი დიღომი მე-4 მ/რ, #2 კორპუსის მიმდებარედ ს/კ 01.10.07.007.141 „დამკვეთის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გამავალი D=250 მმ-იანი წყალარინების ქსელის გადატანის (გადალაგება) სრული ტექნოლოგიური ციკლი „დამკვეთის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის შიგნით.

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების“ ღირებულება შეადგენს 73896.8 (სამოცდაცამეტიათასრვაასოთხმოცდათექვსმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარს (შემდგომში „მომსახურების ღირებულება”), სადაც წყალარინების ქსელის გადატანის პროექტის ღირებულება შეადგენს 4834,3 (ოთხიათასრვაასოცდათოთხმეტი ლარი და ოცდაათი თეთრი) ლარს, ხოლო წყალარინების ქსელის გადატანის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება შეადგენს 69062.5 (სამოცდაცხრაათასსამოცდაორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს. თანხები მითითებულია დღგ-ის ჩათვლით.

2.2. „დამკვეთი“ „შემსრულებელს“ „მომსახურების ღირებულებას“ გადაუხდის წინასწარ, წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში შემდეგ საბანკო ანგარიშზე „მომსახურების საფასურის“ გადარიცხვის გზით:
შემდეგ საბანკო ანგარიშზე „მომსახურების საფასურის“ გადარიცხვის გზით:
მიმღები: შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. #GE80BG0000000277331100

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 „შემსრულებელი“ უფლებამოსილია:
3.1.1 „მომსახურება“ გაწიოს პირადად ან ქვეკონტრაქტორის დახმარებით და ამისთვის ის არ საჭიროებს „დამკვეთის“ დამატებით თანხმობას ან წინასწარ შეტყობინებას;

3.1.2 მოსთხოვოს „დამკვეთს“ „მომსახურების საფასურის“ გადახდა წინამდებარე „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად;

3.1.3 „მომსახურების“ დასრულების შემდეგ მოსთხოვოს „დამკვეთს“ „მომსახურების“ მიღება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

ვალდება და რომლის დადგომაც წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის.

5.3 „მხარე“, რომელსაც „ფორსმაჟორული ვითარება“ შეეხო, უმოკლეს ვადაში, მაგრამ ამგვარი გარემოების დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა, ვალდებულია, შეატყობინოს მეორე „მხარეს“ ამგვარი „ფორს–მაჟორული ვითარების“ თაობაზე. „ფორს–მაჟორული ვითარების“ ხასიათის და მისი შედეგების სათანადო აღწერით.

5.4 „ფორს–მაჟორული ვითარების“ დადგომის შემთხვევაში, „მხარეთა“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიწევს ამგვარი „ფორსმაჟორული ვითარების“ დამთავრებამდე/აღმოფხვრამდე.

5.5 იმ შემთხვევაში, თუ „ფორს–მაჟორული ვითარება“ გასტანს ზედიზედ 45 (ორმოცდახუთი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს, თითოეულ „მხარეს“ უფლება აქვს მეორე „მხარისათვის“ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე.

მუხლი 6. „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადა და შეწყვეტა

6.1 წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს „მხარეთა“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

6.2 წინამდებარე „ხელშეკრულების“ შეწყვეტა მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე შესაძლებელია:

(ა) ერთ-ერთი „მხარის“ მიერ, თუ მეორე „მხარე“ დაარღვევს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ რომელიმე ვალდებულებას ან პირობას და მიუხედავად დარღვევის გამოსწორების თაობაზე წერილობითი მოთხოვნის (შეტყობინების) მიღებისა, ამავე მოთხოვნაში (შეტყობინებაში) მითითებულ ვადაში, არ გამოასწორებს ამგვარ დარღვევას;

(ბ) „შემსრულებლის“ მიერ ნებისმიერ დროს, „დამკვეთისთვის“ სულ ცოტა 7 (შვიდი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით; ან

(გ) „მხარეთა“ ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით.

6.3 თუ, „ხელშეკრულება“ “დამკვეთმა“ მაშინ შეწყვიტა, როდესაც „შემსრულებელს“ უკვე დაწყებული ქონდა სამუშაოები, “დამკვეთმა“ უნდა აუნაზღაუროს „შემსრულებელს“ ფაქტობრივად გაწეული „მომსახურების“ და მასთან დაკავშირებული ხარჯები და „ხელშეკრულების“ შეწყვეტით მიყენებული ზიანი.

მუხლი 7. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაჭრის წესი

7.1 წინამდებარე „ხელშეკრულება“ რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 „მხარეთა“ შორის წინამდებარე „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებული ან მის საფუძველზე წარმოშობილი დავები წყდება მოლაპარაკების გზით. თუ „მხარეები“ მოლაპარაკების გზით ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მაშინ დავის გადასაწყვეტად „მხარეები“ მიმართავენ საქართველოს შესაბამისი განსჯადობის სასამართლოს.

მუხლი 8. სხვადასხვა დებულებები

8.1 „ხელშეკრულების“ პირობების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ქმედუნარიანი ძალის მქონედ მიიჩნევა, თუკი ისინი შედგენილია წერილობით და ხელმოწერილია ორივე „მხარის“ მიერ.

8.2 წინამდებარე „ხელშეკრულება“ ცვლის და აუქმებს „მხარეებს“ შორის მის საგანთან დაკავშირებით მანამდე არსებულ ყველა წერილობით თუ ზეპირ შეთანხმებას, გარიგებას ან/და დათქმას.

„შემსრულებელი“ ვალდებულია:
3.2.1 „მომსახურების“ გაწევა დაიწყოს “დამკვეთის“ მიერ „მომსახურების ღირებულების“ სრულად გადახდის შემდგომ და დაასრულოს არაუგვიანეს 2020 წლის 30 დეკემბრისა, იმ პირობით, რომ „დამკვეთი“ შემსრულებელს საჭიროების შემთხვევაში, წინასწარი შეთანხმებით უზრუნველყოს „მომსახურების“ გაწევისთვის აუცილებელი ყველა პირობით და „შემსრულებელის“ წარმომადგენლებს ექნებათ სრული და შეუფერხებელი დაშვება „დამკვეთის“ ტერიტორიაზე;

3.2.2 „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურება“ გასწიოს კეთილსინდისიერად, ჯეროვნად, სრულად და დათქმულ ვადაში.

3.3 „დამკვეთი“ უფლებამოსილია:
3.3.1 მოსთხოვოს „შემსრულებელს“ წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების“ შესრულება კეთილსინდისიერად, ჯეროვნად, სრულად და დათქმულ ვადაში.

3.4 „დამკვეთი“ ვალდებულია:
3.4.1 საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს „შემსრულებელი“ „მომსახურების“ გაწევისთვის აუცილებელი ყველა პირობით და „შემსრულებელის“ წარმომადგენლებს წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მისცეს სრული და შეუფერხებელი დაშვება მის ტერიტორიაზე;

3.4.2 „ხელშეკრულებით“ დადგენილი წესის შესაბამისად, შეთანხმებულ ვადაში სრულად გადაიხადოს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების საფასური“;

3.4.3 მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში დაუბრუნოს „შემსრულებელს“ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი;
3.4.4 იმ შემთხვევაში, თუ „შემსრულებლის“ მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოსაწერად წარდგენიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში „დამკვეთი“ „შემსრულებელს“ არ დაუბრუნებს ხელმოწერილ მიღება-ჩაბარების აქტს ან მოტივირებულ უარს „მომსახურების“ მიღებაზე, იგულისხმება, რომ „დამკვეთმა“ მიიღო „შემსრულებლის“ მიერ გაწეული მომსახურება.

4. განსაკუთრებული პირობები

4.1 „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „შემსრულებლის“ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების“ გაწევის დროს შექმნილი/დამონტაჟებული ნებისმიერი და ყველა მატერიალური და არამატერიალური ქონება წარმოადგენს „შემსრულებლის“ საკუთრებას და „დამკვეთს“ უფლება არ აქვს განაცხადოს რაიმე პრეტენზია მათზე. ხოლო, თუ ასეთი ქონება ექვემდებარება რეგისტრაციას საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, „შემსრულებელს“ უფლება აქვს დამოუკიდებლად მიმართოს მას აღნიშნული ქონების რეგისტრაციის მოთხოვნით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსრულებელს“ რეგისტრაციის პროცესში დაჭირდება რაიმე დამატებითი თანხმობა ან/და ცნობა „დამკვეთისგან“, „დამკვეთი“ ვალდებულია, რომ დაუყოვნებლივ მიაწოდოს „შემსრულებელს“ ყველა ასეთი დოკუმენტი.

4.2 საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიუხედავად, „შემსრულებლის“ კუთვნილ ქონებაზე შემდგომში ნებისმიერი ახალი მომხმარებლის დაერთების მოთხოვნის შემთხვევაში, „შემსრულებელი”, როგორც ამ ქონების მესაკუთრე, იმოქმედებს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კერძოდ, თითოეულ ასეთ მოთხოვნას განიხილავს, როგორც ახალ მიერთებას და დაარეგულირებს სემეკის 2008 წლის 26 ნოემბრის N32 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად, „დამკვეთის“ მხრიდან დაერთებაზე რაიმე თანხმობის ან ნებართვის საჭიროების გარეშე.

5. ფორს-მაჟორი

5.1 „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არადროული შესრულებისათვის, თუ აღნიშნული გამოწვეული იქნება ფორს–მაჟორული ვითარებით (შემდგომში „ფორსმაჟორული ვითარება“).

5.2 წინამდებარე „ხელშეკრულების“ მიზნებისათვის „ფორს–მაჟორული ვითარება“, შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: ომს, ამბოხებას, სამოქალაქო არეულობას, მიწისძვრას, ხანძარს, აფეთქებას, ქარიშხალს, წყალდიდობას ან სხვა სტიქიურ უბედურებებს, ასევე სახელმწიფო დაწესებულებების სხვა ქმედებასა და უმოქმედობას, რომელიც „მხარეთა“ გონივრული კონტროლის ფარგლებს

წინამდებარე „ხელშეკრულების“ რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მისი სხვა დებულებ(ებ)ის ან/და მთლიანად „ხელშეკრულების“ ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება ისეთი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა „ხელშეკრულებით“ (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

8.4 „მხარეები“ ადასტურებენ, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ წინამდებარე „ხელშეკრულების“ შინაარსი, იგი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ თავისუფალ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა „ხელშეკრულების“ შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად.

8.5 წინამდებარე „ხელშეკრულება“ შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და გადაეცემა „მხარეებს“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად, „მხარეებმა“ უზრუნველყვეს წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერა ზემოთ პირველად აღნიშნულ თარიღზე.

„დამკვეთი“
შპს „ჯიდი +“

შოთა ქუთათელაძე
დირექტორი

„შემსრულებელი“
შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990177236224920

№17/2910

01 / სექტემბერი / 2020 წ.

შპს „ჯიდი პლიუსი“-ის (ს/კ 438731990)
დირექტორს, შოთა ქუთათელაძეს
მის: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის #20
ტელ: 591801191

ასლი: სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელს, მიხეილ აბრამიშვილს

ბატონო შოთა,

ა/წ 31 აგვისტოს (წერილი № 3291) სააგენტოში წარმოდგენილ იქნა სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმის“, სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელის, მიხეილ აბრამიშვილს ანგარიში, რომელიც ეხება თქვენი კომპანიის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.07.007.141) ჩატარებულ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას.

ანგარიშის მიხედვით, დიდი დიღმის მე-4 მიკრორაიონის ტერიტორიაზე გამოვლენილ და შესწავლილ იქნა ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ობიექტები, მოხდა მათი ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია, ხოლო აღმოჩენილი არქეოლოგიური არტეფაქტები დაბინავებულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის შესაბამის საცავში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გეძლევათ დადებითი დასკვნა დაგეგმილი სამუშაოების ჩატარების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოთა მიმდინარეობის დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (ამ ეტაპზე-სააგენტოს).

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით ლომიტაშვილი